სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამმა, რომლის მიზანია საქართველოს არაქართველი მოსახლეობისა და უცხოელებისათვის ქართულ ენაში ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) მიცემა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და ქართველ საზოგადოებაში მარტივად ინტეგრირებისათის.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს მოქალაქეთათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების (აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი) ტესტების შედეგების საფუძველზე. **აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც,** რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან (უცხო ქვეყნის მოქალაქეები) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამა არის 60-კრედიტიანი (ერთწლიანი), მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ სტუ გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

სწავლის ღირებულებაა 2250 ლარი